

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში პლაგიატის Turnitin-ის პროგრამის გამოყენების წესი

დამტკიცებულია რექტორის საბჭოს 2020 წლის 4 დეკემბერი N 53/20 ოქმით

შპს - საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, ხელმძღვანელობს რა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 4 ოქტომბრის №63/19 დადგენილებით დამტკიცებული *აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკით*, სკოლის ფარგლებში განსაზღვრავს დაზუსტებულ მოთხოვნებს სადოქტორო, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომებისა და სწავლების პროცესში გამოყენებული სხვა წერილობითი ნაშრომების მიმართ (რეფერატი, ესე, პროექტი და სხვ), კერძოდ:

- ნაშრომში წყარო შესაძლებელია დამოწმებულ იქნას სამი სახით: რეზიუმე, პერიფრაზი და ციტატა;
- სკოლის ფარგლებში შესრულებულ ნაშრომში დაშვებულია ციტატების გამოყენება ნაშრომის მოცულობის არაუმეტეს 20 პროცენტისა.
- 20%-ზე მეტი ციტირების შემთხვევაში შესაბამისი და პროპორციული სანქცია განისაზღვროს *აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის* მე-5 მუხლის შესაბამისად;
- რეკომენდებულია თითოეული ციტატის მოცულობა არ აღემატებოდეს 40 სიტყვას. 40 სიტყვაზე მეტი შემთხვევისას რეკომენდებულია პერიფრაზირება;
- წერით დავალებაში, რეფერატში, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომებში (შემდგომში ნაშრომი) პლაგიატი უნდა იყოს 0%.
- თუ სტუდენტს პროგრამაში უფიქსირდება 25% და ნაკლები მსგავსება ("SIMILARITY"), შემფასებელს, შეფასების საწყის ეტაპზე, უფლება აქვს დაუბრუნოს სტუდენტს ნაშრომი, რომელიც არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში უნდა იყოს გასწორებული და განმეორებით ატვირთული. თუ ნაშრომში ფიქსირდება 25% - ზე მეტი მსგავსება, შემფასებელი აღნიშნულ ნაშრომს არ განიხილავს და შესაბამისად შეფასება არის „0“.
- სტუდენტი, რომელსაც ნაშრომში უფიქსირდება პლაგიატი, ექვემდებარება ეთიკის საბჭოზე განხილვას, სადაც პირველ შემთხვევაზე მიეცემა გაფრთხილება, განმეორების შემთხვევაში მკაცრი გაფრთხილება და მესამე შემთხვევაზე მოხდება სტუდენტური სტატუსის შეწყვეტა.

**შენიშვნა:** მსგავსებას ადგენს პროგრამა, ხოლო ლექტორი წყვეტს არის თუ არა მსგავსებაში პლაგიატი.